ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 286

“ 13 ” სექტემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა №37-ის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.10.17.037.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დე.დე.ანისთვის“ (ს/ნ: 400181726) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა №37-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.10.17.037.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დე.დე.ანისთვის“ (ს/ნ: 400181726) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 14 აგვისტოს №19.869.1120 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა №37-ის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.10.17.037.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დე.დე.ანისთვის“ (ს/ნ: 400181726) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 160 (ათას ას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**